პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№93 (6158) 14 1978 წ. მაისი, კვირა. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского, Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თავისუფალი დრო აქტიური დასვენების სამსახურში

•

მიუხებისკენ...

ა. გურასაშვილის ფოტო.



## გვიხმობს მშობლიური მთა-ბარი

# სეზონი გაიხსნა

თუკი ერთხელ მაინც ყოფილხართ ტურისტულ მოგზაურობაში, ერთხელ მაინც მოგივლიათ ჩვენი სამშობლოს რომელიმე კუთხე და მთელი დღის სიარულითა და შთაბეჭდილებებით მოღლილნი თუნდაც ერთხელ მიმჯდარხართ აბრიალებულ კოცონთან, არასოდეს დაგავიწყდებათ ის ადგილი, სადაც კარავი გქონდათ გაშლილი, სადაც ერთი ღამე გაატარეთ და მერეც, დიდი ხნის შემდეგ, კვლავაც არაერთხელ გაგახსენდებათ ძველი ნაბანაკარი და გული ტკბილი სევდით მოგეწურებათ.

ჩვენს გარშემო მრავალნი არიან ისეთები, რომლებიც ყოფილან საზღვარგარეთ, მოუვლიათ საბჭოთა კავშირის მრავალი ქალაქი, მაგრამ აქვე, გარეჯის უდაბნოში ან რაიონში რომ წაიყვანო, უკან ვეღარ გამოიგნებენ გზას. ასეთები სიამაყით მოგვითხრობენ თავიანთი მოგზაურობის შესახებ ევროპისა თუ აფრიკის, ამერიკისა თუ აზიის კონტინენტებზე, მაგრამ არ იციან თუ სად, თბილისიდან რამდენ კილომეტრზე მდებარეობს ყინწვისის შესანიშნავი ტაძარი...

ახალი ტურისტული სეზონი გაიხსნა. საქართველოს მთა-ბარი მოუხმობს ამ წარმტაცი ჰობით „დაავადებულ" ადამიანებს და სხვებსაც, ვისაც ჯერ კიდევ არ უგემნია საღამოთი, კოცონზე შეცხელებული კონსერვი, კარავში გატარებული ღამის სიტკბოება და არ უხილავს ბუნების ის მშვენიერი სურათები, რომელთა გარეშეც ნამდვილი ტურისტისთვის თითქმის წარმოუდგენელია ცხოვრება.

დღეს თბილისის კომკავშირის საქალაქო კომიტეტი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ტურიზმის განყოფილებასთან ერთად, ჟინვალთან ახლოს, სოფელ გუდრუხში აწყობს საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციისა და ფაშიზმზე გამარჯვების 33-ე წლისთავისადმი მიძღვნილ ტურისტულ ლაშქრობა-შეჯიბრებას, რაც ფაქტიურად ახალი სეზონის გახსნას ნიშნავს.

საქართველოს ტურისტულ ბილიკებზე გაიბაწრებიან ზურგჩანთამოკიდებული ადამიანები, ახმიანდება მთა-ბარი, გამოცოცხლდება მიყრუებული ხეობები, წელსაც ბევრი „დაავადდება" ამ მართლაცდა შესანიშნავი ჰობით.

ჩვენი რესპუბლიკის საოცრად კონტრასტული ბუნება — მარადიული თოვლითა და მყინვარებით ჩამოთეთრებული მწვერვალები, შავი ზღვის შესანიშნავი სანაპირო, კახეთის ბარაქიანი ველი და კოლხეთის ციტრუსოვანი დაბლობი მრავალ ტურისტს იზიდავს. ჩამოდიან მოძმე რესპუბლიკის წარმომადგენლები, საზღვარგარეთელი სტუმრები, რომელთაც ჯეროვანი დახვედრა და მასპინძლობა სჭირდებათ, ამიტომ ამ დარგის მომსახურების ობიექტებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისათვის, რათა არ შეარცხვინონ ქართული სტუმართმოყვარეობის სახელოვანი ტრადიციები.

„საქართველოს სსრ მოქალაქეებს აქვთ დასვენების უფლება. ამ უფლებას უზრუნველყოფს კულტურულ-საგანმანათლებლო და გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა ქსელის გაფართოება, მასობრივი სპორტის, ფიზიკური კულტურისა და ტურიზმის განვითარება"...

ეს სტრიქონები საქართველოს სსრ ახალ კონსტიტუციაში სწერია და საოცრად ნათლად გვიჩვენებს იმ დიდ მნიშვნელობას, რაც ტურიზმს, როგორც ადამიანის ჯანმრთელობის განმტკიცების ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას ენიჭება.

მაშ ასე, სეზონი გაიხსნა. მშობლიური ქვეყნის სიყვარულით გულანთებულ ადამიანებს უხმობენ ტურისტული ბილიკები.







# საბჭოთა სპორტსმენთა შეჯიბრებით

## საქართველოს ტელევიზიის დიდი პრიზი

მონრეალის მსოფლიო (1973 წ) და ოლიმპიადის (1976 წ) ჩემპიონი ა. ტკაჩი (ჩეხოსლოვაკია), ბულგარეთის ჩემპიონი ს. პეტროვი, იტალიის ჩემპიონი ჯ. როსი და სპორტის ოსტატი ს. ჟურავლიოვი (სსრ კავშირი). აი, ის კვარტეტი, რომლის წევრთა დავაში უნდა გარკვეულიყო სპრინტში საქართველოს ტელევიზიის დიდი პრიზის მესამე გათამაშებაში გამარჯვებულისა და სხვა პრიზიორების ვინაობა.

ნახევარფინალებმა ერთმანეთის პირისპირ დააყენა ჟურავლიოვი და პეტროვი, ტკაჩი და როსი. ტკაჩს აქამდეც ერთობ ძნელი გზის გავლა მოუხდა და ახლა, ნახევარფინალშიც ძალზე ძლიერი მეტოქე შეხვდა — დიდ საერთაშორისო ტურნირებში ნაწრთობი როსი.

სპრინტში დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რომელი პოზიცია უკავია მონაწილეს. მეორე პოზიციაში (ბილიკზე) მყოფი მეტოქის ყველა მოქმედებას შესანიშნავად აკონტროლებს და ბრძოლის მსვლელობას ფაქტიურად თვითონ კარნახობს. ამ დროს თანაბარი სიძლიერის კონკურენტებში ბრძოლას სწორედ მეორე პოზიციაში მყოფი იგებს (ზოგჯერ ამ წარმატებას შედარებით სუსტებიც აღწევენ).

ტკაჩისა და როსის დუელშიც ამან გადაწყვიტა შეხვედრის ბედი როსის სასარგებლოდ. მას ორჯერ ერგო „კონტროლიორის" როლი და ორივეჯერ აჯობა ტიტულოვან მეტოქეს — 2:1. ჟურავლიოვმა ფინალის საგზური უფრო ადვილად მოიგო — მეტოქე ზედიზედ ორჯერ დაამარცხა 2:0. მერე III და IV ადგილებისთვის ოლიმპიური ჩემპიონი იოლად გაუსწორდა პეტროვს.

ვიდრე როსი და ჟურავლიოვი მთავარი პრიზის მოსაპოვებლად გადამწყვეტი ბრძოლისთვის ემზადებოდნენ, მაყურებლებმა არანაკლებ საინტერესო ტურნირი ნახეს: 1000 მეტრზე ადგილიდან გიტში თბილისში საასპარეზოდ ჩამოსულმა თითქმის ყველა უძლიერესმა სცადა ძალა. უნგრეთის ჩემპიონმა ი. პატიკმა 1.11,3 აჩვენა. მერე მას იტალიელმა ლ. ჯორლანდომ აჯობა — 1.09,27, თავის მხრივ მისი მაჩვენებელი ბულგარელმა ბ. სტოიანოვმა გააუმჯობესა — 1.09,05 და ხელთ იგდო ლიდერობა. იუნიორთა შორის მსოფლიო ჩემპიონმა, იტალიელმა ო. დაცანმა შესანიშნავად დაიწყო — 200 მეტრის გავლის მერე მას სტოიანოვზე უკეთესი შედეგი ჰქონდა, მაგრამ ეტყობა საფინიშო მონაკვეთზე „საწვავი" შემოელია — 1.09,1...

შარშან ასეთსავე ასპარეზობაში ეს სახეობა ე. რაპმა (სსრ კავშირი) მოიგო — 1.08,97. მეორე შედეგი კი მსოფლიო ჩემპიონს ლ. ტომსს (გდრ) ჰქონდა — 1.09,12. ახლა ტომსის შედეგი უკვე გაუმჯობესებული იყო და სპორტსმენთა ამოცანას არა მარტო გამარჯვება, არამედ თბილისის ტრეკის ახალი რეკორდის დამყარებაც შეადგენდა.

რაპი და ტომსი თბილისში არ გამოდიოდნენ. ორიოდე დღის წინ მათ ერევანში სომხეთის ტელევიზიის დიდი პრიზის გათამაშებაში იმარჯვეს. რაპმა იქ 1000 მეტრზე ადგილიდან გიტში 1.06,36 აჩვენა და სსრ კავშირის რეკორდი დაამყარა, ტომსი მას 0,04 წამით ჩამორჩა. მაგრამ მათ არყოფნას თბილისის სტარტების მონაწილეებისთვის ხელი არ შეუშლია მთელი თავიანთი ძალები გამოევლინათ.

...ბ. სტოიანოვის მძლავრელიც გამოჩნდა — კ. ხრაბცოვმა (სსრ კავშირი) არა მარტო სტოიანოვს „გაასწრო", არამედ რაპის შარშანდელი შედეგიც გააუმჯობესა — 1.08,84. მაგრამ გამარჯვება ამ დღეს თურმე არც ხრაბცოვს ეწერა და არც მის თანაგუნდელ ი. რეინფელდს, რომელმაც 1.07,97 აჩვენა.

საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა თურქმენეთიდან ვ. კუდრიაშოვმა 1000 მეტრი 1 წუთსა და 06,66 წამში გაიარა. ეს თბილისის ცენტრალური ველოდრომის ახალი რეკორდია და სულ რაღაც 0,3 წამით ჩამორჩება სსრ კავშირის რეკორდს. კუდრიაშოვმა საათში 54,5 კმ სისწრაფის განვითარება შეძლო...

ამასობაში ჟურავლიოვმა და როსმა გადამწყვეტი სტარტისთვის ენერგიის აღდგენა მოასწრეს. სპრინტერთა ბოლო შეჯიბრების I ცდა. როსი პირველ პოზიციაშია. გამოცდილი იტალიელი ოსტატი თვალს არ აშორებს მეტოქეს, მის ყოველ მოძრაობას აკონტროლებს, მაგრამ... მაინც დამარცხდა, თუმცა მეორე ცდაზე ანგარიში გაათანაბრა — 1:1.

მესამე, გადამწყვეტი ცდის წინ მოწყობილმა კენჭისყრამ, რომელშიც ბილიკები ნაწილდებოდა, იტალიელს მეორე პოზიცია არგო. მაგრამ ჟურავლიოვმა სწორი ტაქტიკური მანევრით შეძლო მეტოქის მოტყუება და დროულად წინ გაიჭრა. ფინიშამდე კიდევ 400 მეტრზე მეტი იყო დარჩენილი, მაგრამ იტალიელმა სპორტსმენმა დანაკარგის ანაზღაურება ვერ შეძლო.

ჟურავლიოვმა მოიპოვა საქართველოს ტელევიზიის დიდი პრიზი და პირველად შეასრულა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი.

ჯ. ქვარცხავა.

• • •

სურათებზე: როსი და ჟურავლიოვი ასპარეზობის დამთავრების შემდეგ; ვ. კუდრიაშოვი; ქვევით (მარცხნიდან) მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, შეჯიბრების მთავარი მსაჯი ო. ფხაკაძე, სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელი, ს. ვარგაშკინი, ოლიმპიური ჩემპიონი ა. ტკაჩი და თავისუფალ ჭიდაობაში სახელგანთქმული ფალავანი ლ. თედიაშვილი.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

საქართველოს სსრ კონსტიტუცია მოქმედებაში

# ცენტრალური კავკასიონიდან შავიზღვისპირეთისკენ

**მწვანედ** აბიბინდა მთა-ბარი. საგაზაფხულო სამოსელით შეიმოსა გარემო. კარზე მოგვადგა ტურიზმის, ექსკურსიების, ამ ყველაზე მასობრივი, ყველასათვის ხელმისაწვდომი სპორტის სეზონი.

ტურიზმს უდიდესი სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი მისია აკისრია. იგი ხელს უწყობს მშრომელთა აქტიურ დასვენებას, ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებას, ჩვენი სამშობლოს გმირული წარსულის გაცნობას. ტურიზმის უდიდეს მნიშვნელობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ მან აღიარება ჰპოვა საბჭოთა კავშირისა და საქართველოს ახალ კონსტიტუციებში.

როგორ მოვემზადეთ ახალი ტურისტული სეზონისთვის? რა სიახლეებია მოსალოდნელი წლევანდელ ტურისტულ სეზონში? ამ საკითხებზე ვესაუბრეთ საქართველოს ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარეს **გ. ჯოხთაბერიძეს.**

განზრახული გვაქვს ამ სეზონში მოვემსახუროთ უფრო მეტ ტურისტს ვიდრე შარშან. გასულ წელს ვუმასპინძლეთ 900 ათას კაცს, ეს ციფრი მილიონამდე გაიზრდება. შარშან მთელი სეზონის განმავლობაში მოვემსახურეთ 10 მილიონ ექსკურსანტს, ახალ სეზონში მოვემსახურებით 11 მილიონს. ჩვენი რესპუბლიკის მცხოვრებთათვის მუდმივად იმუშავებს 8 ტურისტული მატარებელი, აგრეთვე, ზაფხულის პერიოდში ოთხი-ხუთი საჰაერო რეისი მოემსახურება ავიაჯგუფებს. მათი მარშრუტები გაივლის მოკავშირე რესპუბლიკათა დედაქალაქებზე, ლენინურ ადგილებში, სისტემატურად ივლის ტურისტული მატარებელი ბაქოსა და ერევანში. ყოველ პარასკევს დედაქალაქის მცხოვრებლებს საშუალება ექნებათ ტურისტული მატარებლით გაემგზავრონ ახალი ათონის კარსტული მღვიმის დასათვალიერებლად. წლეულს დამსვენებლებს პირველად უმასპინძლებს კომფორტაბელური ტურისტული სასტუმრო „ვაკის“ 461-ადგილიანი ახალი კორპუსი, აგრეთვე, 265-ადგილიანი ტურბაზა ცხინვალში. ბათუმში უახლოეს ხანში გაიხსნება ტურისტული სასტუმრო. ჩვენი სტუმრების უკეთ მომსახურების მიზნით ტურბაზებთან მოვაწყეთ და ვაშენებთ სპორტულ მოედნებს. მაგალითად, აშენებულია და სრულ მზადყოფნაშია სტუმრებს ელის საცურაო აუზები ბორჯომსა და მცხეთაში. ქუთაისში, ტურისტული კემპინგის ტერიტორიაზე, პირველად ჩვენს პრაქტიკაში მოეწყობა სპორტული მოედანი მშდ-ს კომპლექსის ნორმატივების ჩასაბარებლად. იმუშავებს მშდ-ს სპეციალური კომისია. დიდი რაოდენობით შევიძინეთ სპორტინვენტარი. ასე რომ, სპორტის მოყვარულებს ვალში არ დავრჩებით.

● **რა ხელისშემშლელი პირობებია ტურისტთა მომსახურების სფეროში?**

— უნდა ითქვას, რომ მიუხედავად იმ დიდი პასუხისმგებლობისა და მზრუნველობისა, რომელსაც იჩენენ ჩვენი მუშაკები, რათა დამსვენებლებს შეუქმნან ყოველნაირი პირობები ჯანსაღი დასვენებისთვის, ვაწყდებით ერთგვარ წინააღმდეგობასაც, რაც სტუმართა სამართლიან გულისწყრომას იწვევს. შარშან იყო საჩივრები აჭარის ტურისტული საბჭოს მიმართ. აჭარის ზღვისპირეთში ტურისტებისთვის აპრილიდან ოქტომბრამდე იჯარით გვაქვს აღებული ბინები. სხვა რესპუბლიკების ტურისტული საბჭოები, რომელთაც ევალებათ დამსვენებლების გამოგზავნა, არღვევენ დადგენილ გრაფიკს, ერთად აგზავნიან ჯგუფებს, რაც იწვევს დიდ გადატვირთვას, განსაკუთრებით კვებისა და ტრანსპორტის სფეროში. გვაქვს სასაყვედურო კვების, რკინიგზისა და ავტოტრანსპორტის სამინისტროების მისამართით, რომლებიც საკმარის ზრუნვას ირ იჩენენ ჩვენს მიმართ. წლეულს გავაძლიერებთ კონტროლს და ყოველმხრივ შევეცდებით აღმოვფხვრათ ის ნაკლოვანებები, რომლებიც ჩრდილს აყენებენ ჩვენს მუშაობას.

● **რა სიახლეები იქნება ექსკურსიამძღოლების მომზადების საქმეში?**

— გასული წლის მიწურულს რესპუბლიკაში პირველად გავხსენით სპეციალური სკოლა-სემინარი, სადაც კვალიფიკაციას იმაღლებს 120 ექსკურსიამძღოლი. მიმდინარეობს საექსკურსიო ტექსტების განახლება. ექსკურსიამძღოლები საფუძვლიანად ეცნობიან იმ ახალ მარშრუტებს, რომლებიც რესპუბლიკის ტურისტულ რუკაზე წლეულს გამოჩნდება.

● **საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში რესპუბლიკურმა საბჭომ საკავშირო პროფსაბჭოსა და კულტურის მუშაკთა პროფკავშირების გარდამავალი წითელი დროშა დაისაკუთრა და...**

— ეს ჩვენი კოლექტივის წინაშე ახალ დიდ ამოცანებს აყენებს. მომავალში კიდევ უფრო მეტი ენერგიითა და მონდომებით განვაგრძობთ დაკისრებული მოვალეობის შესრულებას. მოვალეობა კი, მოგეხსენებათ, განსაკუთრებით გაიზარდა ჩვენი ქვეყნისა და რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციების მიღების შემდეგ. მათში ტურიზმმა ხომ კონსტიტუციური აღიარება ჰპოვა!

ხუთწლედის გეგმას 1980 წლის 30 სექტემბრისთვის გავანაღდებთ. ამჟამად I კვარტლის გეგმა ყველა მაჩვენებლებით შესრულებული გვაქვს.

● **საინტერესოა, რა მდგომარეობაა რესპუბლიკაში ტურიზმის რეკლამის თვალსაზრისით?**

— უნდა მოგახსენოთ, რომ საქართველო ტურისტთა გამტარიანობით ერთ-ერთ მოწინავე ადგილზეა მთელს კავშირში. გასული წლების ოფიციალური მონაცემებით ჩვენს რესპუბლიკაში ჩამოსულ ტურისტთა და ექსკურსანტთა რიცხვმა გადააჭარბა ბალტიისპირეთის სამივე რესპუბლიკის დამთვალიერებელთა რიცხვს ერთად [illegible] — აჭარბა აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკების [illegible] ტურისტების რიცხვს ერთად აღებულს. მიუხედავად ზემოთქმულისა, ჩვენ ყოველწლიურად ვზრდით სტუმართა რაოდენობას, ვაფართოებთ ტურიზმის მასშტაბებს. მაგალითად, 1972 წელთან შედარებით ტურისტთა რიცხვი წლეულს 3-ჯერ გაიზრდება, ფართოვდება და იხვეწება თვითმოქმედ ტურისტთა მომსახურება. ყოველივე ამაში, ცხადია, დიდ როლს თამაშობს ტურისტული რეკლამა. ჩვენი შეკვეთით საქართველოს დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების სტუდიაში შეიქმნა მოკლემეტრაჟიანი ფერადი დოკუმენტური ფილმი „ტურისტული საქართველო“. მოვამზადეთ ილუსტრირებული ალბომი, დიდი ტირაჟით ვუშვებთ ფერად რუკას „ტურისტული საქართველო“. რუკა უკვე იბეჭდება და სულ მალე გამოვა გასაყიდად. საქართველოს ტელევიზიამ შექმნა ფილმი „ახალი ათონის მღვიმე“ და ა. შ. ყოველივე ეს, ცხადია, ხელს უწყობს ტურიზმის რეკლამას და აქედან გამომდინარე — მის განვითარებას.

● **და ბოლოს, ტრადიციული შეკითხვა. როგორია ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოს გეგმები?**

— ჩვენს ქვეყანაში სულ უფრო პოპულარული ხდება ავტოტურიზმი. ავტოტურისტთა მომსახურების მიზნით სამი წლის წინ გავხსენით გორის, ქუთაისის და გაგრის კემპინგები. აღნიშნული კემპინგები, აგრეთვე, თბილისის ტურისტული სასტუმრო „ვაკე“, „თბილისის ზღვა“ და სოხუმის ტურბაზა 1980 წლის ოლიმპიადის ტურისტთა მომსახურებისთვისაა გათვალისწინებული. რა თქმა უნდა, კიდევ ბევრი მოსამზადებელ სამუშაოთა ჩატარება გვჭირდება უცხოელ ავტოტურისტთა ჯეროვანი დახვედრისთვის. გადაწყვეტილი გვაქვს მოვაწყოთ ე. წ. ფინური აბანოები ფასანაურში, ბაკურიანში, ქუთაისში. 1980 წელს დაგეგმილი გვაქვს გავხსნათ ახალი მარშრუტი ორჯონიკიძე — ყაზბეგი — ფასანაური — თბილისი — გორი — ქუთაისი — გაგრა. 1979 წელს აღდგება მარშრუტი ცენტრალური კავკასიონის უღელტეხილებზე: ბეჩო — დონღუზორუნი — ტვიბერზე გავლით მესტიამდე, ხოლო იქიდან შავიზღვისპირეთისკენ.

საუბარი ჩაიწერა
ნ. ბარდაველიძემ.

გვიხმობს მეგობრული მთა-ბარი



ტურისტის გვერდი № 2 (12)

● მილიონი ტურისტის მოლოდინში
● ასას ხეობით ხევსურეთიდან ჩეჩნეთ-ინგუშეთამდე
● კლდეში ნაკვეთი ქალაქის გალავანთან



# ოცი დღე მთებში

**ვისაც** ერთხელ მაინც უნახავს მოხისლული მთები და ქვიშისფერი კლდეები, ნაბიჯ-ნაბიჯ გაუღევია ვიწრო და უსასრულო ბილიკები, იოლად ვეღარ შეელევა მთების გასაოცარ სიმშვიდესა და მეტყველ იდუმალებას.

სამთო ტურიზმის მოყვარულთათვის კარგად ნაცნობი და მახლობელია დასავლეთ და ცენტრალურ კავკასიონზე გამავალი ტურისტული მარშრუტის ყოველი მონაკვეთი და ბილიკი.

აღმოსავლეთ კავკასიონის რაიონები კი მოგზაურთათვის ნაკლებად ცნობილი და ხელმისაწვდომი იყო. არ არსებობდა მარშრუტების სათანადო აღწერილობა. ქვეითი ტურიზმის მოყვარულთათვის არ იყო შედგენილი ტურისტული სქემები და მარშრუტები. ეს რაიონები თითქმის მთლიანად საქართველოშია ან საქართველოს ესაზღვრება. ამიტომ ქართველმა ტურისტებმა გადაწყვიტეს შეესწავლათ და დაეგეგმათ მასზე გამავალი ყოველი მნიშვნელოვანი პუნქტი, ბილიკი თუ უღელტეხილი.

შარშან, შემოდგომაზე მოეწყო რესპუბლიკური ექსპედიცია აღმოსავლეთ კავკასიონზე. ჯგუფს ხელმძღვანელობდა სპორტის ოსტატობის კანდიდატი ნ. ვიახირევი და ტურიზმის ინსტრუქტორი ვ. რევიშვილი.

მათ წარმატებით შეასრულეს ამოცანა.

ამჟამად უკვე დამუშავებული და შესწავლილია უმეტესი რაიონების მარშრუტები, რომლებიც გადაეცა მოსკოვის ტურისტულ ბიბლიოთეკას და საქართველოს ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკურ საბჭოს.

დღეს ჩვენი ქვეყნის უამრავი ქალაქიდან მოდის ტურიზმის მოყვარულთა წერილები, რომლებიც დიდ ინტერესს იჩენენ საქართველოს ტურისტთა შარშანდელი ლაშქრობისადმი. ისინი ითხოვენ ზუსტ მარშრუტსა და კონსულტაციებს. ამასთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება ვ. რევიშვილის ნაამბობი:

— ჩვენმა ექსპედიციამ ლაშქრობა დაიწყო იქ, სადაც ერთმანეთს უერთდება მდინარე ქმოსტი და ხევსურეთის არაგვი. რამდენიმე საათის შემდეგ ჩავედით ხევსურეთის უძველეს სოფელ როშკაში.

მდინარე ვუდელაურის ერთ ნაწილს გავყევით ჭიუხის უღელტეხილის მიმართულებით და მივედით ორ პატარა ტბასთან. აქედან კარგად მოჩანდა ჭიუხის მყინვარი და საქარიას მთა. აქ თითქმის ყოველთვის ქრის ქარი და ამიტომ საქარია უწოდებია ხალხს. ჭიუხის ეს მიდამოები ძალზე ლამაზი და დასამახსოვრებელი იყო.

დილით გადავედით მდინარე ვუდელაურზე და მდინარე როშკის ხეობაში მიმავალ ბილიკს ავყევით უღელტეხილ საძელისღელის მიმართულებით. ვიყავით 2400 მეტრის სიმაღლეზე. იყო წვიმაც, ნისლიც და მზეც. ასეთია მთის ჭირვეული ბუნება.

შემდეგ დავეშვით მდინარე ჯუთის ხეობაში. ამ რაიონში შევისწავლეთ უღელტეხილი შანი და შიბუღელე. პირველით შეიძლება გადასვლა ჩეჩნეთში, მეორეთი — პირიქითა ხევსურეთის სოფელ ჭიმღაში.

ლამაზია ჯუთის ხეობა. გარშემო მწვერვალები აკრავს, წინ მყინვარია, მარჯვნივ — უღელტეხილი სამრეკლოსღელე.

შემდეგ ავიღეთ ზუსტი ორიენტირება რუკით და ჩავედით მდინარე წირწლოვანის ხეობაში. ეს არის უამრავ ჩანჩქერებიანი ლამაზი ხეობა. აქედან ბილიკმა ხევსურეთის უძველეს სოფელ ახიელში მიგვიყვანა. ახიელის ხეობაში 1957 წელს დაიღუპა გერმანელი მწერლის, ალფრედ კურელას მეუღლე, ელპიდე კურელა. ეს ტრაგედია მოგვითხრო გურამ რჩეულიშვილმა თავის მოთხრობაში „სიკვდილი მთებში“.

როცა ასას ხეობით, ჩეჩნეთ-ინგუშეთში გადავედით, ღამე უფლის წყაროსთან გავათენეთ. ამ წყაროს სამკურნალო თვისებები ჰქონია.

ეს ხეობა იმდენად ვიწრო იყო, მდინარე ასაზე დაახლოებით 40-ჯერ მოგვიხდა გადასვლა-გადმოსვლა. ყველაზე რთული და საინტერესო მაინც 50-მეტრიან კლდეზე ასვლა და დაშვება იყო.

საერთოდ, ეს ადგილები მდიდარია ინგუშების ნასოფლარებითა და ციხე-კოშკებით, რომლებიც საუკუნეებს მიღმა გვახედებენ.

გულოიხის ხეობაში თვალნათლივ ვნახეთ დიდებული ბუნება, რომელიც კარგად აქვს აღწერილი ა. მოლუშტეინს თავის წიგნში „კოშკები მთაში“.

მდინარე მეშიხისა და დუბლოიხის შესართავთან იწყება ხეობა, რომელიც მეტად ლამაზია თავისი სამლოცველოებითა და აულებით, უამრავი ციხე-კოშკებით.

ჯარიგოს უღელტეხილიდან ერთი საათის სიარულის შემდეგ კვლავ გადმოვედით საქართველოს საზღვარზე. მოვიარეთ ხევსურეთი და ლაშქრობა თიანეთში დავამთავრეთ.

ცხადია, ჩემი ნაამბობი ერთობ ძუნწი და ფრაგმენტულია. 20 დღის მანძილზე დაახლოებით 270 კილომეტრი გავიარეთ ფეხით. შთაბეჭდილებები უამრავია. მათი გადმოცემა დიდ დროსა და ადგილს წაგვართმევს და მაინც შეუძლებელი იქნება იმ განცდების გადმოცემა, რომელიც ლაშქრობისას მივიღეთ. ამიტომაც მოვუწოდებთ ყველას საკუთარი თვალით იხილონ ჩვენს მიერ გავლილი ბილიკები. ჩვენ კი მზადა ვართ კონსულტაცია გავუწიოთ ყველას, ვისაც ჩვენი მარშრუტი დააინტერესებს.

საუბარი ჩაიწერა
მზია გედიაშვილმა.

● ● ●

შატილის ციხე-კოშკები.
ვ. რევიშვილის ფოტო.

# უფლისციხის გალავანში

**თითქოს** უმცროსები უფროსებს ესტაფეტას გადასცემენო, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის საზოგადოებრივი პროფესიების ფაკულტეტის სპორტული ჟურნალისტიკის განყოფილების დიპლომანტები და მათი აღმზრდელები ყოველ გაზაფხულზე ქალაქგარეთ, ისტორიულ ადგილებში ხვდებიან ერთმანეთს.

ამჯერად სტუდენტები და მათი პედაგოგები უფლისციხეს ეწვივნენ. წლევანდელი ღონისძიება შინაარსით ადრინდელისგან ბევრად განსხვავდებოდა. დოცენტმა ა. ციბაძემ ჯგუფს გზადაგზა უამბო ცალკეული სოფლებისა და ძეგლების ისტორია. დიპლომანტმა ზ. ნოზაძემ კი უფლისციხეში კლდეში ნაკვეთი ამ უძველესი ქალაქის გალავანში დაიცვა სადიპლომო ნაშრომი. დიპლომანტის ოპონენტი იყო კრივში სსრ კავშირის 1978 წლის ჩემპიონი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ა. ხიზანიშვილი.

სტუდენტები და პედაგოგები ქართლის სოფლებსაც ეწვივნენ. მოსახლეობას ესაუბრნენ საქართველოს ახალ კონსტიტუციაზე. განუმარტეს ტურიზმის, ფიზკულტურისა და სპორტის დიდი სოციალური მნიშვნელობა.

საინტერესო ექსკურსიით მიღებული შთაბეჭდილებები და ცალკეული ეპიზოდები ერთხელ კიდევ გააცოცხლა ფოტოსურათებმა, რომლებიც მომავალმა ჟურნალისტებმა გადაიღეს და ინსტიტუტში სპეციალურ სტენდზე გამოაკრეს.

ლ. იმნაძე.



[illegible]. ა. გურასაშვილის ფოტო.

## ჭიდაობა

...ელში დამთავრდა „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს ...-გუნდური პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის, რომელშიც მონაწილეობდა თორმეტი გუნდი. საქართველოს ღირსებას იცავდა 14 ...ავე. აი, როგორ გამოიყურება პრიზიორთა სამეული გუნდურ ჩათვლაში: რსფსრ, ბელორუსია, საქართველო (მწვრთნელები: სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი გ. როსტიაშვილი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ... გაჩეჩილაძე და სპორტის ოსტატი ნ. სხირელი). პირად პირველობაში მძიმე წონით კატეგორიაში ჩემპიონი გახდა ზ. ავ...შვილი (ფიზკულტურის ინსტიტუტი). II საპრიზო ადგილები დაისაკუთრეს ვ. ცქიტიშვილმა (... 57 კგ), გ. ქენქაძემ (თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმი, 62 კგ), თ. გიორგაძემ (გორის პედაგოგიური ინსტიტუტი, 90 კგ), ...ბანოიძემ (სპი, 100 კგ). III ადგილზე ლ. მაისურაძე (თსუ, ... კგ). ექვსივე მოჭიდავე შეყვანილია „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს ნაკრებში, რომელიც დაიწყო მზადება საკავშირო ...საბჭოს პირველობისთვის.

**მ. სამადაშვილი.**

• • •

**...თელავის** პედაგოგიური ინსტიტუტის სპორტულ დარბაზში სამ ... მიმდინარეობდა სპორტულ საზოგადოებათა და უწყებათა რესპუბლიკური პირად-გუნდური პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში.

გუნდურ ჩათვლაში „ბურევესტნიკის" ნაკრებმა გაიმარჯვა. II და III ადგილებზე შესაბამისად „განთიადისა" და „სპარტაკის" კოლექტივები გავიდნენ.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ზ. შუ...ძე („ბურევესტნიკი"), მ. ჩხა... („სპარტაკი"), ტ. აბსავა („კოლმეურნე"), გ. ქენქაძე („ბურევესტნიკი"); დ. გიგაური („სპარტაკი"), გ. მაკასარაშვილი („ბურევესტნიკი"), ნ. ბუთხუზი („განთიადი"), ა. მაისურაძე („დინამო"), ... მარშანია („განთიადი"), ზ. ნი...აძე („დინამო").

**გ. ელიოზიშვილი.**





ამ სურათებზე აღბეჭდილნი არიან თბილისის თასის მფლობელები სპორტულ ტანვარჯიშში დინამოელი ი. ხატიაშვილი (მწვრთნელი, სპორტის ოსტატი მ. კრასილნიკოვა) და „შრომითი რეზერვების" წარმომადგენელი ჯ. ალთუნაშვილი (მწვრთნელი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ნ. ბახუტაშვილი).

# სპორტსმენები მსაჯების როლში

### წყალში ხტომა

**სასიამოვნო** შთაბეჭდილება დატოვა ვაკის საცურაო აუზში დამთავრებულმა წყალში მხტომელთა საქალაქო პირველობამ, რომელიც გამარჯვების დღეს მიეძღვნა. შეჯიბრება სასიამოვნო იყო იმდენად, რამდენადაც სარბიელზე ბევრი ახალბედა ნორჩი სპორტსმენი ვიხილეთ. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენი უძლიერესი წყალში მხტომელები, რომლებიც ჯერ კიდევ საშუალო სკოლებში სწავლობენ, ამ ასპარეზობის მსაჯებად მოგვევლინნენ.

— ჩვენი ათამდე წყალში მხტომელი სსრ კავშირის სხვადასხვა ნაკრები გუნდის წევრია. ისინი უფრო დიდი მასშტაბის შეჯიბრებებისთვის ემზადებიან. მათი მზადების გეგმა კი არ ითვალისწინებს საქალაქო ასპარეზობაში მონაწილეობას და ამიტომაც ვამჯობინეთ ამ პირველობას მომსახურებოდნენ, როგორც არბიტრები. ამის უფლება კი ყველა მათგანს აქვს. ისინი ხომ სპორტის ოსტატები არიან, — გვითხრა საქართველოს ნორჩ წყალში მხტომელთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა **ა. ბართაიამ.**

ამ შეჯიბრებაში ათ წელზე მეტი შესვენების შემდეგ პირველად ვიხილეთ ლოკომოტიველთა გუნდი. მერე რა, რომ მათ მხოლოდ 10 ქულა მოაგროვეს და უკანასკნელი ადგილი დაიკავეს. რკინიგზელები მაინც ქებას იმსახურებენ, რადგან, დებიუტანტთაგან მეტს არავინ მოელოდა.

გუნდურ შეჯიბრებაში 194 ქულით ყველას განთიადელებმა აჯობეს. ისინი მთელი თავით მაღლა აღმოჩნდნენ მეტოქეებზე. მეორე იყო „დინამო" (49 ქ.), ხოლო მესამე — „ბურევესტნიკი" (42 ქ.). მათ გარდა შეჯიბრებაში გამოდიოდნენ სპარტაკელებიც, რომლებმაც 24 ქულა მოაგროვეს.

პირად პირველობაში ყველაზე უკეთ განთიადელები ე. ბელიოვა და თ. ნებიერიძე, აგრეთვე, ბურევესტნიკელი ა. გალუსტიანი გამოვიდნენ. მათ ორ-ორი გამარჯვება იზეიმეს.

ე. ბელიოვამ ყველას აჯობა უმცროსი ასაკის გოგონებში 1 და 3-მეტრიან ტრამპლინიდან ხტომაში (შესაბამისად 287,08 და 287,71 ქ.). თ. ნებიერიძე კი ბიჭებში იყო საუკეთესო (შესაბამისად 254,68 და 275,43 ქ.).

ა. გალუსტიანი საშუალო ასაკის ბიჭებში ასპარეზობდა და უძლიერესის სახელი მოიპოვა როგორც 3-მეტრიანი ტრამპლინიდან (448,75 ქ.), ისე კოშკიდან ხტომაში (351,84 ქ.).

მათ გარდა გამარჯვება იზეიმეს: საშუალო ასაკის გოგონებში 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში განთიადელმა გ. ლომიძემ (236,25), ხოლო კოშკიდან — მისმა თანაგუნდელმა ლ. ხრიკულმა (212,33 ქ.). უფროსი ასაკის ბიჭებში საუკეთესო იყო დინამოელი ლ. სოლოვიოვი (455,40 ქ.).

**ა. რაჭველიშვილი.**

## ფეხბურთი

### დღეს — გადამწყვეტი მატჩია

**ვარშავა,** 12 მაისი. სსრ კავშირის ჭაბუკ ფეხბურთელთა ნაკრებმა უეფა-ს ტურნირის ნახევარფინალური მატჩი მოუგო პოლონელებს — 2:1 და გავიდა ფინალში. დღეს გადამწყვეტ მატჩში ჩვენი გუნდის მეტოქეები იქნებიან იუგოსლაველი ფეხბურთელები, რომლებმაც დამატებითი პენალტების სერიით მოუგეს შოტლანდიის გუნდს.

### „ტორპედო" — მეოთხედფინალში

მოსკოვის „ტორპედოს" ფეხბურთელებმა სსრ კავშირის თასის გათამაშებაში განმეორებითი მერვედფინალური მატჩი მოუგეს ვოროშილოვგრადის „ზარიას" — 3:1 (პირველი მატჩი — 0:0) და გავიდნენ მეოთხედფინალში. გათამაშების ამ ეტაპზე ტორპედოელები შეხვდებიან მოსკოვის „დინამოს".

### ვეტერანები ჭიათურაში

**ჭიათურის** სტადიონზე მრავალრიცხოვანმა მაყურებელმა მოიყარა თავი თბილისის „დინამოს" ვეტერან ფეხბურთელთა გუნდის შეხვედრაზე ადგილობრივ „მაღაროელთან".

მატჩი საინტერესო ბრძოლაში ჩატარდა და დამთავრდა ფრედ — 4:4. დინამოელთაგან 2 ბურთი გაიტანა ილიაძემ, თითო — ყორდანიამ და ლ. ნოდიამ. მასპინძელთა მხრივ წარმატებას მიაღწიეს გურულმა, ლომსაძემ (2) და ქველაძემ.

დაწესებული იყო პრიზები ვეტერანთა ყველაზე ხანდაზმული და ახალგაზრდა მოთამაშეებისთვის. ისინი გადაეცათ გ. გაგუას და ლ. ნოდიას. თბილისელებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: ურუშაძე (რუხაძე), ებრალიძე, ბ. სიჭინავა, ჭელიძე, ჭანჭალეიშვილი, ხუნდაძე, ილიაძე, კალოევი (შერგელაშვილი), ყორდანია, გაგუა, ლ. ნოდია.

**შ. ბარჯაძე,**
სპორტის ოსტატი.
(ჩვენი კორ.).

## კრივის მოყვარულთა ყურადღებით

**რინგი.** ბრძოლა დამთავრებულია. ...ანცული მოკრივეები თავიანთი ...ბისკენ მიდიან. იქ ცნობისწადილით ეძებენ მწვრთნელის თვალ... მის გამოხედვას, თუნდაც სულ უმნიშვნელო იმედს — მხარზე ხელის მოთათუნებას, ღიმილს. დარბაზი ისე რომ გუგუნებდა წეღან, გაირუნულა და სულგანაბული ელოდება მსაჯების გადაწყვეტილებას. ბრძოლა შეუპოვარი იყო, მოკრივეები ძალას არ იშურებდნენ ნანატრი გამარჯვების მოსაპოვებლად, მაგრამ ჯერჯერობით არც თვითონ სპორტსმენმა, არც მწვრთნელებმა, არც ჟიურის წევრებმა და არც მსაჯებმა არ უწყიან ... ვინ გაიმარჯვა.

ბრძოლა ზედმიწევნით თანაბარი იყო. მაგრამ კრივში ფრე არ არსებობს და თუკი დარტყმათა რაოდენობა ერთნაირი აღმოჩნდა, რაც ძალზე იშვიათად ხდება, მაშინ მსაჯებმა ბრძოლის ბედი მოკრივეთა მოქმედების მიხედვით უნდა გადაწყვიტონ (ტაქტიკა, დაცვის ეფექტურობა, ბრძოლის საერთო ესთეტიკა და ა. შ.). ასეთ შემთხვევაში კი მსაჯები ...ულებით მეტად არიან უფლებამოსილნი გამოიტანონ საკუთარი ემოციის შესაბამისი, სუბიექტური დასკვნები.

მაგრამ ამ დასკვნას ხომ გულისკანკალით ელოდება სპორტსმენი, მწვრთნელი, ათასობით გულშემატკივარი... ...ორედ ამ დასკვნამ, ხუთი გვერდითი მსაჯის საბოლოო და უცვლელმა გადაწყვეტილებამ უნდა გაამართლოს (ან გაამტყუნოს) თუთრად გატეხილი ღამეები, თავდაუზოგავ ვარჯიშში გალეული ახალგაზრდული წლები და თვით სიყვარული ამ საოცრად ვაჟკაცური, მშვენიერი სპორტისადმი.

...ეფერი კი უკვე დინჯად დადის რინგის შუქით განათებულ თეთრ კვადრატში, თოკებთან იხრება და გვერდით მსაჯებს აუჩქარებლად ართმევს ბარათებს. მწვრთნელებს იმ ბარათებისკენ გაურბით თვალი, უკვე აშკარად ღელავენ და აი, როგორც იქნა რინგის შუაგულისკენ უხმობენ მოკრივეებს...

წარმოიდგინეთ ფეხბურთის მატჩის დროს, ხალხით გაჭედილი ახმაურებული ტრიბუნები, სასტვენიანი კაცის სულ უმნიშვნელო შეცდომაზეც კი მის მინდვრიდან გაძევებას რომ მოითხოვენ და დარწმუნდებით, მსაჯობა არც თუ ისეთი იოლია, როგორც ამ საქმეში ჩაუხედავ ადამიანს მოეჩვენება. მსაჯი მთელი შეჯიბრების მანძილზე „თვალში ეჩხირება" სპორტსმენებს, მაყურებლებს და, რაც მთავარია, სპეციალურ, კომპეტენტურ კომისიას, რომელსაც შეხვედრის დამთავრების შემდეგ მისი ნამოღვაწარის ვით განსაზღვრო გამარჯვებული, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მსაჯები მაინც სცდებიან...

საბჭოთა სპეციალისტების ერთმა ჯგუფმა 1973-76 წლებში ჩატარებულ მეტად საინტერესო გამოკვლევათა საფუძველზე დაასკვნა, რომ დიდი ნაწილი მსაჯებისა დარტყმათა რაოდენობას კი არ აღნუსხავს, არამედ საერთო შთაბეჭდილების მიხედვით ასახელებს გამარჯვებულს. აქედან გამომდინარე კი მსაჯთა შეუთანხმებლობის გამო დაშვებული შეცდომების რაოდენობა ყოველ ტურნირზე თითქმის 40% აღწევს.

ჩვენი ქვეყნის შარშანდელ პირველობაზე 138 ბრძოლიდან 51-ზე მსაჯების შეხედულება გაიყო, ხოლო ევროპის შარშანდელ ჩემპიონატზე საბჭოთა მოკრივეების 15 გამოსვლიდან 8-ზე მსაჯებს ერთმანეთის სრულიად საწინააღმდეგო აზრი აღმოაჩნდათ. მართლაც რომ დამაფიქრებელი ციფრებია.

# ის, ვინც ჭეშმარიტად გაიმარჯვა

კრიტიკულად განსჯა ევალება. მაგრამ, მიუხედავად ამისა, არსებობს სპორტის სახეობები, სადაც მსაჯობა გაცილებით იოლია, ვიდრე, მაგალითად კრივში, ჭიდაობაში, ტანვარჯიშში, რადგან იქ ყველაფერი დამოკიდებულია კილოგრამებზე, სანტიმეტრებზე, წამებზე. რინგზე კი....

მოდით, ნუ შევეხებით მსაჯთა არაკეთილსინდისიერების გამო დაშვებულ გადახრებს, თუმცა, რა დასამალია და არც უამისობაა — სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადის დროს მოკრივეთა ასპარეზობიდან არაობიექტურობის გამო ხუთი მსაჯი მოიხსნა! ხოლო მონრეალის ოლიმპიურ თამაშებზე მოკრივეთა წინასწარი შეხვედრების პერიოდში რვა მსაჯი იქნა დისკვალიფიცირებული.

საბჭოთა კრივის წესდებაში სწერია: „დამხმარე ქულა მიეკუთვნება ყოველ დარტყმას, რომელიც ზუსტად, დაბრკოლებების გარეშე ხვდება მიზანს, დამოუკიდებლად იმისა თუ რა დისტანციიდან იქნა ეს დარტყმა შესრულებული".

თითქოს სულ ადვილი საქმეა — უნდა გამოთვალო თითოეულ რაუნდში რომელმა მოკრივემ რამდენი დარტყმით მეტი შეასრულა და ამის მიხედ-

ამასთან 5 გვერდითი მსაჯის გადაწყვეტილების შეცვლა ჟიურის არ შეუძლია, იხე, რომ საკმარისია სამმა მსაჯმა მოილაპარაკოს და ფავორიტი შეჯიბრებას გამოეთიშება.

როგორც ჩანს მსაჯობა კრივში ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილი, რაც, რა თქმა უნდა ძალზე აფიქრებს მთელი მსოფლიოს სპეციალისტებს. უკანასკნელ ხანებში არაერთი სიახლე დაინერგა — შეიქმნა სხვადასხვა ელექტრომოწყობილობები, რომელთა მეშვეობითაც მსაჯები გაცილებით ადვილად აღნუსხავენ მოკრივის მოქმედებას რინგზე. ასეთი მოწყობილობებით არიან აღჭურვილნი ბელგრადის წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატის მსაჯებიც. საბჭოთა სპეციალისტების მიერ შექმნილმა ხელსაწყომ დიდი მოწონება დაიმსახურა საზღვარგარეთ. 1977 წლის ბერლინის საერთაშორისო ტურნირზე მოეწყო საკონტროლო მსაჯობა ამ აპარატების დახმარებით. შედეგით მეტად კმაყოფილნი დარჩნენ სამოყვარულო კრივის საერთაშორისო ასოციაციის წარმომადგენლები, მაგრამ საქმე მთლიანად მაინც არ გამოსწორებულა — შეცდომები კვლავაც საკმარისზე მეტია და ძიებები გრძელდება.

ამ ბოლო დროს ხშირად გაისმის კრიტიკა ეგრეთ წოდებული „დახურული მსაჯობის" მიმართ. ჭიდაობისა თუ ფარიკაობის დროს, შეჯიბრების ნებისმიერ მომენტში სპორტსმენმა იცის იგებს თუ აგებს ბრძოლას. მოკრივეთა შეხვედრისას კი საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე მდგომარეობა სრულიად გაურკვეველია. ეს გარემოება რასაკვირველია, აფერხებს მოკრივეთა მოქმედებას, აძნელებს მაყურებელთა მიერ ბრძოლის მიმდინარეობის სწორ აღქმას, მსაჯებს კი უნებურად ხელს უწყობს სუბიექტური გადაწყვეტილების გამოტანაში. ამ შემთხვევაში იგი სრული ბატონ-პატრონია საკუთარი თავისა და არც პასუხს აგებს დაუდევრობისა თუ უკოდინრობის გამო მიღებულ არასწორ გადაწყვეტილებაზე. „ღია" მსაჯობის დროს კი თითოეული გვერდითი მსაჯის პასუხისმგებლობა ერთიათად გაიზრდება.

დღეს უკვე ბევრი სპეციალისტია იმის მომხრე, რომ მსაჯობა „ღია" წესით ტარდებოდეს. ტექნიკურად სულაც არ არის ძნელი ამის მოწყობა — საკმარისია ის ხელსაწყო, რომლის მეშვეობითაც გვერდითი მსაჯი მოკრივეთა მიერ შესრულებულ დარტყმების რაოდენობას აღრიცხავს, სადემონსტრაციო ელექტროტაბლოს შეუერთდეს.. სამაგიეროდ ჟიურის შესაძლებლობა მიეცემა საჭირო კონტროლი გაუწიოს მსაჯებს და სათანადო მითითებაც მისცეს ზოგიერთ მათგანს. ამასთან ალბათ კრივის სანახაობრივი მხარეც მოიგებდა, რადგან ყოველი რაუნდის დასასრულს სპორტსმენებსაც და მაყურებლებსაც თვალწინ ექნებათ ბრძოლის მიმდინარეობის ნათელი სურათი.

დროთა განმავლობაში ყველაფერი პროგრესს განიცდის. თანდათან იხვეწება შეჯიბრების წესები სპორტის სხვადასხვა სახეობებში და ალბათ ახლოსაა ის დრო, როცა სამოყვარულო კრივის მსაჯობაც უფრო სრულყოფილი გახდება.

**ნ. შატაიძე.**

## საქართველოს ჩემპიონატი

### II ჯგუფი

#### I ზონა

„ვარძია" (ასპინძა) — „გიგანტი" (გამარჯვება) 6:2, „ფიჩხოვანი" (ახმეტა) — „ჰერეთი" (ლაგოდეხი) 4:2, „მესხეთი" (ახალციხე) — „გარეჯი" (საგარეჯო) 5:0, „სიონი" (ბოლნისი) — „განთიადი" (თბილისი) 2:1, „განახლება" (ადიგენი) — „ქართლი" (გორის რაიონი) 1:0, „არაგვი" (მცხეთა) — ტაქსომოტორი № 3 (თბილისი) 1:0, „აბული" (ახალქალაქი) — „გარისი" (თეთრი წყარო) 4:0, „თრიალეთი" (წალკა) — „ბახტრიონი" (ახმეტა) 2:0, „სამცხე" (აწყური) — „იორი" (თიანეთი) 3:2, „ცისკარი" (სიღნაღი) — „ალაზანი" (გურჯაანი) 0:4.

„გიგანტი" — „ალაზანი" 2:2, „იორი" — „ცისკარი" 4:0, „ბახტრიონი" — „სამცხე" 4:0, „გარისი" — „თრიალეთი" 1:0, ტაქსომოტორი № 3 — „აბული" 2:1, „განთიადი" — „განახლება" 3:0, „ქართლი" — „არაგვი" 3:1, „გარეჯი" — „სიონი" 1:1, „ჰერეთი" — „მესხეთი" 2:3, „ვარძია" — „ფიჩხოვანი" 4:0.

#### II ზონა

„ავტომობილისტი" (გაგრა) — „ბახმარო" (ჩოხატაური) 2:0, „მექალალდე" (ზუგდიდი) — „სულორი" (ვანი) 0:1, „შახტიორი" (ტყვარჩელი) — „მუქურა" (ქობულეთი) 0:3, „გიგანტი" (ლაითური) — „იმერეთი" (წულუკიძე) 0:2, „ოჯალეში" (ბანძა) — „ჩამომსხმელი" (ბორჯომი) 2:1, „სამგურალი" (წყალტუბო) — „მეშახტე" (აგარა) 0:0, „ავტომობილისტი" (მაიაკოვსკი) — „სენაკი" (ცხაკაია) 3:2.

„სენაკი" — „ავტომობილისტი" (აბაშა) 1:2, „ნარუჯა" (მახარაძე) — „ავტომობილისტი" (მაიაკოვსკი) 2:1, „მეშაქრე" — „ავტომობილისტი" (ბათუმი) 2:2, „ჩამომსხმელი" — „სამგურალი" 2:1, „იმერეთი" — „ოჯალეში" 3:2, „მუქურა" — „გიგანტი" 2:0, „სულორი" — „შახტიორი" 3:0.

## მსოფლიო ჭადრაკის მატიანე

# უშეღავათო ჭიდილი

მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოპოვების შემდეგ, 1951 წლამდე მ. ბოტვინიკს არც ერთ ტურნირში არ მიუღია მონაწილეობა. იგი დაკავებული იყო სამეცნიერო და ლიტერატურული მუშაობით — დაიცვა დისერტაცია და ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი გახდა. მ. ბოტვინიკმა დაწერა სამი წიგნი: ერთი სპეციალობაში და ორიც ჭადრაკში — „რჩეული პარტიები. 1926-1946“ და „საბჭოთა საჭადრაკო სკოლა“. მაგრამ საჭადრაკო პრაქტიკის ნაკლებობამ მერე კინაღამ დააზარალა მატჩში ტიტულის დასაცავად.

ამ პერიოდში ფიდემ დიდი საქმიანობა გააჩაღა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ფიდეს საიუბილეო, XX კონგრესს (პარიზი, 1949 წ., ივლისი). ამ თავყრილობაზე არჩეულ იქნა ახალი პრეზიდენტი — შვედი იურისტი ფოლკე როგარდი (გადაირჩიეს 1970 წ), შემოიღეს საერთაშორისო დიდოსტატისა და ოსტატის წოდებები და მიიღეს ბოტვინიკის მიერ შემოთავაზებული მსოფლიო პირველობის გათამაშების სისტემა.

როგორი იყო ბოტვინიკის წინადადებები? ჩემპიონი ვალდებულია სამ წელიწადში ერთხელ დაიცვას ტიტული; მატჩში უნდა გათამაშდეს 24 პარტია; ყაიმის (12:12) შემთხვევაში ჩემპიონი ჩემპიონად რჩება; წაგების შემთხვევაში ჩემპიონს მატჩ-რევანშის უფლება აქვს (უნდა ითამაშოს ერთი წლის შემდეგ); ჩემპიონმა ექვსი თვით ადრე უნდა იცოდეს მეტოქის ვინაობა; პრეტენდენტის გამოსავლინებლად უნდა მოეწყოს ექვსთა მატჩ-ტურნირი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა შესარჩევ ტურნირში გამარჯვებული მოჭადრაკეები და სხვ.

ამ წესების შესაბამისად 1947-1948 წლებში ფიდე-მ მოაწყო ზონალური და საზონათშორისო ტურნირები.

I საზონათშორისო ტურნირს უმასპინძლა შვეციის აგარაკ სალტშობადენმა (1948 წ. ივლისი-აგვისტო). პრეტენდენტთა მატჩ-ტურნირის ხუთი საგზურისთვის ბრძოლაში 20 მოჭადრაკე მონაწილეობდა. საგზურები მოიპოვეს დ. ბრონშტეინმა (სსრ კავშირი, I ადგილი), ლ. საბომ (უნგრეთი, II), ი. ბოლესლავსკიმ (III), ა. კოტოვმა (IV) და ა. ლილიენტალმა (სამივე — სსრ კავშირი, V). მაგრამ ფიდე-ს XIX კონგრესმა, რომელიც იქვე, სალტშობადენში გაიმართა, პრეტენდენტებში საასპარეზოდ დაუშვა აგრეთვე ი. ბონდარევსკი (სსრ კავშირი, VI), მ. ნაიდორფი (არგენტინა, VII); ს. ფლორი (სსრ კავშირი, VIII) და გ. შტალბერგი (შვეცია, IX). მატჩ-ტურნირში პერსონალურად მიიწვიეს 1948 წლის მსოფლიო პირველობის მონაწილენი ვ. სმისლოვი, პ. კერესი, მ. ეივე, ს. რეშევსკი და აგრეთვე, რ. ფაინი.

პრეტენდენტთა ორწრიან მატჩ-ტურნირი მოეწყო ბუდაპეშტში 1950 წლის აპრილ-მაისში. ბრძოლაში მხოლოდ 10 მოჭადრაკე მონაწილეობდა. ბონდარევსკი ავად შეიქნა, ეივემ და ფაინმა თამაშზე უარი განაცხადეს, რეშევსკის აშშ-ს მთავრობამ არ მისცა უნგრეთში გამგზავრების უფლება.

შესანიშნავად თამაშობდნენ საბჭოთა დიდოსტატები (სხვათა შორის, საბჭოთა მოჭადრაკეთა დელეგაციას თავკაცობდა საქართველოს საჭადრაკო ფედერაციის თავმჯდომარე, საერთაშორისო ოსტატი ვ. გოგლიძე). I-II ადგილები გაიყვეს ბრონშტეინმა და ბოლესლავსკიმ — 12-12 ქულა. III ადგილი ხვდა სმისლოვს — 10. შემდეგ იყვნენ კერესი — 9,5, ნაიდორფი — 9, კოტოვი — 8,5, შტალბერგი — 8, ლილიენტალი, საბო, ფლორი — 7-7.

იმავე ზაფხულში, მოსკოვში გაიმართა ბრონშტეინ — ბოლესლავსკის შეხვედრა, რომელსაც რეგლამენტით გათვალისწინებულმა 12 პარტიამ ვერ გამოავლინა ბოტვინიკის მეტოქე (მატჩი ყაიმით — 6:6 დამთავრდა), თამაში პირველ მოგებამდე გაგრძელდა. ბრონშტეინმა მოიგო XIV პარტია და მატჩიც — 7,5:6,5, (+3—2=9).

დავით ბრონშტეინი (19. II. 1924) კიევის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ჭადრაკის კაბინეტის (ხელმძღვანელი ოსტატი ა. კონსტანტინოპოლსკი) აღზრდილია. ოსტატი გახდა 1940, დიდოსტატი — 1948 წელს. პრეტენდენტობამდე ორჯერ იყო სსრ კავშირის ჩემპიონი — 1948 წელს კოტოვთან და 1949 წელს სმისლოვთან ერთად. ბრონშტეინი მუდამ გამოირჩეოდა თეორიის ღრმა ცოდნით და ორიგინალური თამაშით.

და აი, 1951 წლის 16 მარტს მოსკოვში, პ. ჩაიკოვსკის სახელობის დიდ საკონცერტო დარბაზში დაიწყო ბოტვინიკ — ბრონშტეინის მატჩი მსოფლიო პირველობაზე. ბოტვინიკს სეკუნდანტობას უწევდა დიდოსტატი ვ. რაგოზინი, პრეტენდენტს — კონსტანტინოპოლსკი.

პირველი ოთხი შეხვედრა ყაიმით დამთავრდა — 2:2, თუმცა ყველა პარტიაში მეტოქენი დიდი მონდომებით იბრძოდნენ. V პარტიაში ბრონშტეინმა კარგად გამოიყენა ჩემპიონის ცაიტნოტი და გაიმარჯვა — 3:2. მაგრამ უპირატესობა ვერ შეინარჩუნა, VI პარტიაში დამარცხდა. მან VII პარტიაც წააგო. ლიდერობა ხელთ იგდო ბოტვინიკმა — 4:3.

მომდევნო სამი პარტია ყაიმით დასრულდა. ბრონშტეინმა გადალახა ფსიქოლოგიური ზღუდე და XI პარტიაში გამარჯვებით აღადგინა თანაფარდობა — 5,5:5,5. მაგრამ აზარტულად ითამაშა XII პარტია და ბოტვინიკი კვლავ დაწინაურდა — 6,5:5,5.

მსოფლიო ჩემპიონი დიდი მონდომებით უტევდა პრეტენდენტს, მაგრამ ზედიზედ ოთხი შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. XVII პარტიაში ბრონშტეინმა ხელთ იგდო ინიციატივა და გაიმარჯვა. ანგარიში კვლავ გათანაბრდა — 8,5:8,5. ბრონშტეინს XVIII პარტიაც უნდა მოეგო, მაგრამ მისი გადადებისას სუსტი სვლა ჩაიწერა და ბოტვინიკმა ყაიმს მიაღწია.

XIX პარტიაში ბრონშტეინმა ვერ გამოიყენა ყაიმის შანსი და დამარცხდა, XX პარტია ბოტვინიკმა ყაიმით დაამთავრა და თითქოს მატჩის ბედიც მის სასარგებლოდ გადაწყდა — 10,5:9,5. მაგრამ ბრონშტეინმა დიდი ალმავლობით წარმართა XXI და XXII პარტიები, გაიმარჯვა და თავად დაწინაურდა — 11,5:10,5.

შეიქმნა კრიტიკული სიტუაცია. სათამაშო ორ პარტიაში ბრონშტეინს ქულაც ჰყოფნიდა. მაგრამ XXIII პარტიაში ბოტვინიკმა აჯობა მას ენდშპილში. ანგარიში მეხუთედ გათანაბრდა (11,5:11,5). ბოტვინიკს ბოლო, XXIV პარტიაში ყაიმიც აძლევდა ხელს და მიზანს ადვილად მიაღწია: უკეთეს პოზიციაში თავად შესთავაზა ზავი ბრონშტეინს. მატჩი დამთავრდა 12:12 (+5—5=14), ბოტვინიკმა შეინარჩუნა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული.

ამ მატჩში არ იყო გამარჯვებული, მაგრამ არც დამარცხებული ყოფილა. გაიმარჯვა საბჭოთა საჭადრაკო სკოლამ — შემოქმედებითმა ძიებამ, უშეღავათო საბრძოლო სულმა.

**თ. გიორგაძე.**







გამომცემლობა „პლაკატმა“ უკვე გამოუშვა 45 პლაკატი ოლიმპიურ სპორტულ თემაზე, რომელთა საერთო ტირაჟი 5 მილიონი ეგზემპლარია. მიუხედავად იმისა, რომ თითოეული პლაკატის ეგზემპლარი 100 ათასზე ნაკლები არ იყო, ისინი მაშინათვე ბიბლიოგრაფიული იშვიათობა გახდა. ახლა გამომცემლობის მხატვრები და ავტორთა აქტივი მუშაობენ სპორტის ყველა ოლიმპიური სახეობისა და ოლიმპიადა-80-ის მასპინძელი ქალაქების პლაკატების სერიების შექმნაზე. გთავაზობთ ზოგიერთ ახალ ნამუშევარს.

## ჰოკეი

**პრაღაში** ჰოკეისტთა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების ფინალურ ასპარეზობაში მოეწყო ბოლოსწინა ტურის შეხვედრები.

შეჯიბრების ლიდერებმა, ჩეხოსლოვაკიელმა ჰოკეისტებმა დაძაბულ ბრძოლაში სძლიეს კანადელებს — 3:2. საბჭოთა ნაკრებმა დამაჯერებლად მოუგო შვედებს — 7:1. ბოლო ტურის მატჩების წინ გუნდების მდგომარეობა ასეთია:

| | მ. | ფ. | წ. | შ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ჩეხოსლოვაკია | 9 | 0 | 0 | 53—18 | 18 |
| სსრ კავშირი | 8 | 0 | 1 | 58—25 | 16 |
| კანადა | 4 | 0 | 5 | 35—34 | 8 |
| შვეცია | 4 | 0 | 5 | 37—34 | 8 |

V-VIII ადგილებისთვის მებრძოლი გუნდების მდგომარეობა უკანასკნელი ტურის წინ ასეთია:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| გფრ | 2 | 3 | 4 | 27—39 | 7 |
| აშშ | 2 | 2 | 5 | 34—50 | 6 |
| გდრ | 1 | 3 | 5 | 18—50 | 5 |
| ფინეთი | 1 | 2 | 6 | 30—42 | 4 |

# ლიდერობს საბჭოთა გუნდი

## მშვიდობის ველორბოლა

**მშვიდობის** 31-ე ველორბოლის მონაწილეებს პარასკევს წინ ედოთ ძნელი და გრძელი გზა ჰალედან ერფურტამდე. მთელ დღეს წვიმდა, ციოდა, მაგრამ 182-კილომეტრიან ტრასაზე უშეღავათო ბრძოლა ლიდერობისთვის ოდნავადაც არ შეწყვეტილა.

შუა დისტანციის შემდეგ მოზრდილმა ჯგუფმა ამაოდ სცადა გაქცევა. მერე სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. პიკუუსი დაწინაურდა. მას შმაისერის (გდრ) გარდა არავინ დაედევნებია. ეს დუეტი ძალზე ძნელი ამოცანის წინაშე დადგა: გამუდმებულ წვიმაში ასე ეულად რბოლა თითქმის წარმოუდგენელია. ძირითადი ჯგუფის წევრებსაც სწორედ ეს ამშვიდებდა. მაგრამ შმაისერმა და პიკუუსმა თითქმის შეუძლებელი შეძლეს — ისინი ერფურტის სტადიონზე ერთად შევიდნენ...

შმაისერმა ქალაქის ქუჩებში პიკუუსს, რომელმაც ირჩია მეორე პოზიციაში ყოფილიყო, გზა რამდენჯერმე დაუთმო, მაგრამ საბჭოთა ველოსიპედისტი ანკესზე რომ... დი წამოეგო. მას კარგად ახსოვდა წინდღით ხელიდან როგორ გამოსტაცეს თითქმის გარანტირებული გამარჯვება.

სტადიონის სარბენ ბილიკებზე პიკუუსმა დიდი სისწრაფე განავითარა და ფინიში პირველმა გადაკვეთა. შმაისერი II ადგილზე გავიდა. მესამე იყო ა. გუსიატნიკოვი (სსრ კავშირი).

ორი ეტაპის შემდეგ რბოლის ლიდერი გახდა ა. პიკუუსი. გუნდურ ჩათვლაშიც საბჭოთა ნაკრები დაწინაურდა.

## ფარიკაობა

**იტალიის** ქალაქ ტრიესტში დამთავრდა ხმლით მოფარიკავეთა საერთაშორისო ტურნირი მიძღვნილი გუსტავო მარცის ხსოვნისადმი. საბჭოთა ხმლით მოფარიკავეებმა ფინალში დაამარცხეს იტალიის ეროვნული ნაკრები — 8:1. განსაკუთრებით კარგად იასპარეზა ოლიმპიურმა ჩემპიონმა, მოსკოველმა ვ. კროვოპუსკოვმა. III ადგილი წილად ხვდა უნგრეთის ნაკრებს.

## კრივი

**კიდევ** ერთი საბჭოთა მოკრივე ვ. სოროკინი (60 კგ) ჩაება ბელგრადში მსოფლიოს მეორე ჩემპიონატის ორთაბრძოლებში. მისი მეტოქე იყო რუმინელი ფ. ლივადარუ. საბჭოთა მოკრივემ სამივე რაუნდი თავის სასარგებლოდ დაამთავრა და დამსახურებულად გაიმარჯვა. სოროკინის შემდეგი მეტოქე იქნება კუბელი ბ ლასო.

მეოთხედფინალში გავიდა, ოღონდ უბრძოლველად, ევროპის ჩემპიონი კ. სავჩენკო (71 კგ). მისი ორთაბრძოლა უგანდელ მოკრივესთან არ გამართულა, რადგან ამ ქვეყნის სპორტსმენებმა ვადაზე ადრე დატოვეს ჩემპიონატი.

## „სპორტლოტო“

**გუშინ** მოსკოვში მოეწყო „შაბათის სპორტლოტოს“ მორიგი, მეცხრამეტე ტირაჟი.

აი, იღბლიანი ციფრები და სახეობები:

**პირველი:** 4 (კრივი), 6 (კლასიკური ჭიდაობა), 11 (ტანვარჯიში), 29 (ტყვიის სროლა), 33 (ფიგურული ციგურაობა).

**მეორე:** 6 (კლასიკური ჭიდაობა), 13 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 23 (წყალში ხტომა), 25 (საციგაო სპორტი), 33 (ფიგურული ციგურაობა).

## ჭადრაკი

### გამარჯვება მიეკუთვნა

როგორც ვიუწყებოდით, სოჭში, ჭაბუკთა მსოფლიო პირველობის საბჭოთა მოჭადრაკეთა შესარჩევი მატჩ-ტურნირის დასკვნითი, XIV ტურის ზ. აზმაიფარაშვილი — ლ. იურტაევის (ფრუნზე) პარტია გადადებული დარჩა. შედეგების მისასჯელად იგი გადაეცა საგანგებო ჟიურის. ორიოდე დღის წინ ცნობილი გახდა, რომ გამარჯვება თბილისელ მოჭადრაკეს მიეკუთვნა. ამრიგად, აზმაიფარაშვილი 6,5 ქულით V ადგილზე გავიდა.

რედაქტორი ა. გასილაია.

## სპორტულ ბაზებზე

**ფეხბურთი.** „სიჭაბუკის თასის“ ნახევარფინალური მატჩები. 14 მაისი. „დინამოს“ ბაზა დიღომში.

„დინამო“ (თბილისი) — „სალხინო“ (გეგეჭკორი). დასაწყისი 12 ს. ასკ-ს სტადიონი. ასკ (თბილისი) — განათლების განყოფილება (ქუთაისი). 16 ს.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სპეციალიზებული ბავშვთა და მოზარდთა საციგურაო სპორტული სკოლის დირექცია აცხადებს სკოლამდელი ასაკის, 1973 წელს დაბადებული ბავშვების საკონკურსო მიღებას მოსამზადებელ ჯგუფში.

განცხადებები მიიღება მიმდინარე წლის 15 მაისიდან 1 ივლისამდე ყოველდღე. 9-დან საღამოს 7 საათამდე (კვირის გარდა).

განცხადებასთან ერთად საჭიროა დაბადების მოწმობა (დედანი). ბავშვის დასწრება სავალდებულოა.

კონკურსის პირობების გაცნობა შეიძლება სკოლაში: ოჟიოს ქ. № 6 (სპორტის სასახლის გვერდით).

დირექცია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26, სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.

ИНДЕКС 66435

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 07838